FCC ჯგუფი გაწევს გარემოსდაცვით მომსახურებას და ასრულებს დიდ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მთელ მსოფლიოში. აღნიშნული მომსახურებები მზარდი მოთხოვნისაა მოქალაქეების მხრიდან და აუცილებელია მდგრადი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისთვის.

კომპანია ყოველდღიურად ცდილობს იყოს ლიდერი გლობალურ, ეფექტურ და ინოვაციურ გადაწყვეტილებებში, ამასთან, სურს იყოს აღქმული, როგორც სამართლიანი და სანდო დამსაქმებელი, კარგი პარტნიორი და თანამშრომელი და ყოველთვის ჰქონდეს პასუხისმგებლობა იმ საზოგადოების მიმართ, სადაც ის ოპერირებს.

1. მიზანი

წინამდებარე პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც სამსახურეობრივი საქმიაობის სახელმძღვანელო პრინციპია და შესაბამისობაშია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ (2011) დამტკიცებულ ადამიანის უფლებების პრინციპებთან, და გლობალურ შეთანხმებასთან, რომელსაც FCC შეუერთდა 2006 წელს, ჯგუფი ადასტურებს თავის ვალდებულებას, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, რომლებიც შეტანილია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და შრომის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) დეკლარაციასა და, ასევე შსო-ის რვა ფუნდამენტურ კონვენციაში.

FCC ჯგუფისთვის ცხადია, რომ ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული და გარანტირებული ყველა სახელმწიფოს მიერ, მაგრამ არსებითად მიიჩნევს, რომ თავად კომპანიამ, თავისი გავლენის სფეროში და თითოეული ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად, პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებები და წაახალისოს მათი დაცვა.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები არ არის თანხვედრაში, FCC პატივს სცემს ადგილობრივ სამართლებრივ ჩარჩოს და შეეცდება მაქსიმალურად დაიცვას აღნიშნული საერთაშორისო კონვენციების დებულებები.

2. გამოყენების სფერო

ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა, როგორც FCC ჯგუფის კორპორატიული კულტურისა და ღირებულებების გადამწყვეტი ელემენტი, ვრცელდება ყველა საქმიანობაზე, რომელზეც კომპანიას აქვს ფინანსური ან საოპერაციო კონტროლი, მიუხედავად მათი მიმართულებისა და განხორციელების ადგილისა.

FCC ჯგუფი მოითხოვს ადამიანის უფლებების დაცვას თავის პარტნიორებისგან, თანამშრომლებისა და მომწოდებლებისგან, კომპანიის ამჟამინდელი ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად.

3. ვალდებულება

გაერთიანების თავისუფლება და ერთობლივი მოლაპარაკება

FCC მიიჩნევს, რომ ერთობლივი მოლაპარაკება არის დიალოგის საფუძველი კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის და იღებს ვალდებულებას, ყოველთვის აღიაროს დასაქმებულთა უფლება, ისარგებლონ გაერთიანების უფლებით და კონსტრუქციულად ითანამშრომლონ თანამშრომელთა მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებთან, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.

ღირსეული და ანაზღაურებადი დასაქმება

FCC უზრუნველყოფს სამართლიან და ხელსაყრელ სამუშაო პირობებს, ღირსეულ და ანაზღაურებად დასაქმებას და იძლევა დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლების გარანტიას, ქვეყნის შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

FCC მომხრეა სამართლიანი და ადეკვატური ანაზღაურების, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის პრაქტიკაზე, თანამშრომელთა ტრენინგზე, გამოცდილებასა და პასუხისმგებლობებზე და რომელიც შესაბამისია თითოეული ქვეყნის შრომითი ხელშეკრულებებისა და კანონმდებლობის, მინიმალური ხელფასის, სოციალური შეღავათებისა და ზეგანაკვეთური საკითხების ჩათვლით.

FCC ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის ძალადობას, შევიწროებას ან შეურაცხყოფას სამუშაო ადგილზე, თითოეულ ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და ცდილობს ღირსეულად მოექცეს ყველა იმ პირს, ვისთანაც თანამშრომლობს.

იძულებითი შრომა და ბავშვთა შრომა

FCC ეწინააღმდეგება იძულებით ან ძალდატანებით შრომას, დოკუმენტაციის ჩამორთმევას ან მონობის სხვა თანამედროვე ფორმას, ისევე როგორც წამების, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნებისმიერ ფორმას.

FCC პატივს სცემს ბავშვთა უფლებებს და ეწინააღმდეგება ბავშვთა შრომას შსო 138 და 182 კონვენციების შესაბამისად.

დისკრიმინაციის უარყოფა და ინკლუზიურობა

FCC უარყოფს ნებისმიერ დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ქმედუუნარობის ან სხვა პიროვნული

მდგომარეობის საფუძველზე.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

FCC იძლევა გარანტიას დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებაზე, მუდმივად აუმჯობესებს სამუშაო პირობებს და ქმნის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

FCC იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რათა არ დაირღვეს უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და მისი მომხმარებლების ერთიანობა.

მონაცემთა კონფიდენციალურობა

FCC იღებს ვალდებულებას, პასუხისმგებლობით გამოიყენოს პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია შეგროვებული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებიდან, რომლებშიც ის ოპერირებს, განსაკუთრებული ზრუნვით გამოიყენოს მისი თანამშრომლებისა და მომხმარებლების მონაცემებს.

საზოგადოებების პატივისცემა

FCC ემხრობა ჰქონდეს პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები ადგილობრივ საზოგადოებებთან, სადაც ის ეწევა საქმიანობას; აამაღლოს ცნობიერება მათი უფლებების შესახებ ბუნებრივი რესურსების, ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობის, კულტურისა და ტრადიციების თვალსაზრისით.

FCC ემხრობა პატივი სცეს ადგილობრივი საზოგადოებების სპეციფიკურ უფლებებს, მათი სტრუქტურების, ტერიტორიებისა და რესურსების გათვალისწინებით, ეროვნული და საერთაშორისო კონვენციებისა და რეგულაციების შესაბამისად, და შეიმუშავებს პროცედურებს დიალოგისთვის და ამცირებს უფლებებზე ნებისმიერ ზემოქმედებას.

FCC ემხრობა პატივი სცეს გარემოს, დააფასოს გარემოს სასიცოცხლო ციკლი, ასევე ხელი შეუწყოს მისი გამოყენების, ნარჩენებისა და დამაბინძურებელი აირების ემისიის მართვის საუკეთესო პრაქტიკას და შესაბამის ქცევას.

4. განვითარება

იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინამდებარე პოლიტიკაში მოცემული ძირითადი პრინციპები ყოველთვის არეგულირებდეს FCC ჯგუფის ქმედებებს ადამიანის უფლებათა საკითხებში და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კომპანია განსაზღვრავს და განახორციელებს სათანადო მექანიზმებს, რათა გააგრძელოს იდენტიფიკაციის, პრევენციის, შემსუბუქებისა და რეაგირების საკითხებში სათანადო გულმოდგინებით მოქმედება.

კერძოდ:

- დამტკიცდება შესაბამისი პროტოკოლები ადამიანის უფლებებზე ჯგუფის საქმიანობის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ზემოქმედების იდენტიფიკაციის, მონიტორინგისა და მართვისთვის.
- შემუშავდება ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გეგმა თანამშრომლებისთვის და ამ პოლიტიკის შიდა და გარე გავრცელებისთვის.
- განისაზღვრება ინიციატივები, ამ პოლიტიკის ვალდებულებების პარტნიორებსა და თანამშრომლებს შორის გასავრცელებლად.

5. ხელმძღვანელობა

დირექტორთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია FCC ჯგუფის ადამიანის უფლებათა პოლიტიკის დამტკიცებაზე და მისი შესრულების ზედამხედველობაზე, რომელიც, ზოგადად, პასუხისმგებელია კომპანიის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ზედამხედველობაზე.

ვალდებულებების შემუშავება და მათი მონიტორინგი განხორციელდება ჯგუფის კორპორატიული პასუხისმგებლობის კომიტეტისა და CSR ან ბიზნესის მდგრადობის კომიტეტების მეშვეობით, კორპორატიული პასუხისმგებლობის, ადამიანური რესურსების და შესყიდვების კორპორატიული დეპარტამენტების კოორდინაციით.

მიუხედავად იმისა, რომ FCC ჯგუფის ყველა თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს ამ პოლიტიკას, სხვადასხვა ქვეყნების კორპორატიული დირექტორები და ბიზნესმენეჯერები უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელნი არიან მისი ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაზე.

ეს პოლიტიკა, ისევე როგორც ჯგუფის დანარჩენი პოლიტიკა, შეესაბამება უმაღლეს შიდა სტანდარტს, ეთიკისა და ქცევის კოდექსს და FCC-ის შესაბამისობის მოდელს.

პოლიტიკის ნებისმიერი დარღვევის შესახებ უნდა მოხდეს ანგარიშის წარდგენა ჯგუფის მხილების არხის მეშვეობით, როგორც დადგენილია ეთიკისა და ქცევის კოდექსით.

დამტკიცებულია FCC-ის დირექტორთა საბჭოს მიერ

მადრიდი, 30 ივლისი, 2019